133
1941
F556.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1941 წ. თებერვლის 26 № 7 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

35. კომუნალური ფონდის საცხოვრებელი სახლების შენახვისა და რემონტის მოწესრიგების შესახებ.

36. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სანოტარო კანტორების ქსელის შესახებ.

37. საქართველოს სსრ ჯანსახკომის სამედიცინო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების ქსელის შესახებ.

38. სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავსნაბის" საქართველოს კანტორის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის გადაცემის შესახებ.

39. მ. ი. ლერმონტოვის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით იუბილეს ჩამტარებელი კომიტეტის შესახებ.

40. საქართველოს სარეწაო კოოპერაციის მიერ დამზადებული „გრეცის" ტიპის ნავთქურების გასაცემი ფასის დაწესების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

35. კომუნალური ფონდის საცხოვრებელი სახლების შენახვისა და რემონტის მოწესრიგების შესახებ.

საცხოვრებელი ფონდის შენარჩუნების უზრუნველყოფის, საცხოვრებელი სახლების მიმდინარე და კაპიტალური რემონტის თავის დროზე და ხარისხოვნად ჩატარების, აგრეთვე სახლთა მეურნეობის მმართველობის სწორი ორგანიზაციის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გამსხვილერთეულდეს სახლმმართველობანი, რომლებშიაც გაერთიანდეს რამდენიმე სახლი და არასაცხოვრებელი სადგომები ისე, რომ გათვალისწინებულ იქნას თითოეული სახლმართველობის სამეურნეო საქმიანობის დამოუკიდებლობისა და უზარალობის სრული უზრუნველყოფა, რისთვისაც გამსხვილერთეულებულ სახლმმართველობათა მოწყობის დროს მხედველობაში იქნას მიღებული საცხოვრებელი ფართობის ნორმები 2,5-დან 7 ათას კვადრატულ მეტრამდე თვითეულ სახლმმართველობაზე.

2. უფლება მიენიჭოს სახლმმართველებს სამეურნეო წესით აწარმოონ სახლების მიმდინარე რემონტი, ამასთან დაშვებულ იქნას სამუშაოთა მწარმოებლის მოწვევა შესასრულებელ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 5% ანარიცხის ხარჯზე ან სარემონტო კანტორების მეშვეობით, ხელშეკრულების საფუძველზე.

3. ლიკვიდირებულ იქნას სახლმმართველობათა საანგარიშო მომსახურების ჯგუფური სისტემა, რაც ქალაქ თბილისსა, სოხუმსა, ქუთაისსა და ბათუმში არსებობს, და დაწესდეს თვითეული სახლმმართველობისათვის ერთი ბუხჰალტრის ან მოანგარიშის საშტატო თანამდებობა.

4. ნება დაერთოს სახლმმართველებს იყოლიონ სახლმმართველობასთან ერთი ან ორი რემონტის მუშა მიმდინარე რემონტისათვის გაღებულ ასიგნობათა ხარჯზე.

5. საერთო სარგებლობის ადგილების (ეზოები, შესასვლელები, კიბის ადგილები, საერთო საპირფარეშოები და სხვ.) სუფთად და წესრიგში შესანახად სახლმმართველობასთან იყოლიონ დამლაგებლები იმ ოდენობით რაც საჭიროა დაწესებული ნორმის მიხედვით, სახლმმართველობათა შესანახად გაღებული სახსრების ხარჯზე.

6. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო ქალაქ თბილისში—მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს სწორად გაანაწილონ სახლმმართველობათა და დასუფთავების ტრესტებს შორის სახლმმართველობის სუფთად შესანახად გაღებული სახსრები, აგრეთვე ამ სახსრების სწორად ხარჯვა.

7. სახლმმართველობაში აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად დაყენების უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე იმ მიზნით, რომ კონტროლი გაეწიოს სახს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების ხარჯვას დანიშნულების მიხედვით, ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტა-ტების საქალაქო საბჭოების (სოხუმი, ბათუმი, ქუთაისი) საბინაო სამმართველოებს იყოლიონ, სახლმართველობათა შესანახად გაღებული სახსრების ხარჯზე, თითო ბუხჰალტერ-რევიზორი, ხოლო ქ. თბილისის რაისაბინაო სამმართველოებში — თითო ბუხჰალტერ-რევიზორი, გარდა არსებული ერთი ბუხჰალტერისა, რომელსაც ბიუჯეტის ხარჯზე ინახავენ.

8. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ქალაქების საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტის ორგანიზაციის საქმეში ადგილი აქვს დიდ ნაკლოვანებებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ სწორად და თავის დროზე არ ხდება სახლების შერჩევა, ცუდად სწარმოებს სარემონტო სამუშაოთა ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა, საკმაო არ არის ტექნიკური ზედამხედველობა საწარმოო სამუშაოებისადმი (სახლების რემონტი ჭიანურდება, შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი დაბალია, ხდება სახსრებისა და სამშენებლო მასალების გადახარჯვა, ადგილი აქვს მასალების განიავებისა და დატაცების ფაქტებს), რის გამო საჭიროდ სცნობს:

ა) საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტის ორგანიზაციისა და სწორად გატარებისათვის სრული პასუხისმგებლობა დაეკისროს საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, ხოლო ქ. თბილისში—მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს;

ბ) ის სახლები, რომელსაც კაპიტალური რემონტი უნდა გაუკეთდეს, შეარჩიონ და ამ სახლების სატიტულო სია შეადგინონ საბინაო სამმართველოებმა და დაამტკიცონ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა.

ქ. თბილისში სატიტულო სიებს დაამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები და ეს სიები წარედგინება საქალაქო საბინაო სამმართველოს, რომელიც მთლიანად ქალაქის ნაკრებ გეგმას სატიტულო სიებთან ერთად დასამტკიცებლად წარუდგენს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომს;

გ) იმ სახლების წლიური სატიტულო სიები და ხარჯთაღრიცხვები, რომლებიც შეკეთებული უნდა იქნას, უნდა დამტკიცდეს არაუგვიანეს წინა წლის დეკემბრისა, ხოლო ქალაქ თბილისსა, ქუთაისსა, ბათუმსა და სოხუმში, რომლებსაც დიდძალი საცხოვრებელი ფონდი აქვთ, დაშვებული იქნას სატიტულო სიების დამტკიცება კვარტალობრივად, მაგრამ შემდეგი კვარტალის დაწყებამდე ერთი თვით ადრე;

დ) კაპიტალური რემონტისათვის შერჩეული სახლების სამუშაოთა აღწერილობა გატარდეს შემდეგი შემადგენლობით შექმნილი კომისიის მეშვეობით: სახლის მმართველი, საქალაქო საბინაო სამმართველოს ინჟინერი, ხოლო ქ. თბილისში—რაიონული საბინაო სამმართველოს ინჟინერი და სარემონტო სახლის მობინადრეთა წარმომადგენელი.

9. კაპიტალური რემონტის ხარჯთაღრიცხვები დაამტკიცონ:

ა) ქ. თბილისში — 30,0 ათას მანეთამდე ღირებულებისა — პერსონალურად, რაიონული საბჭოების საბინაო სამმართველოთა უფროსებმა, 30,0 ათასი მან. მეტი ღირებულებისა — საქალაქო საბინაო სამმართველოს უფროსმა;

ბ) ქალაქ ქუთაისსა, ბათუმსა და სოხუმში კაპიტალური რემონტის ხარჯთაღრიცხვებს დაამტკიცებენ საბინაო სამმართველოს უფროსები;

გ) დანარჩენ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ყველა ხარჯთაღრიცხვას დაამტკიცებენ ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

10. დაწესდეს, რომ იმ საცხოვრებელი სახლების მისაღებად, რომელთა კაპიტალური რემონტი დამთავრდა, მშრომელთა დეპუტატების სათანადო საქალაქო საბჭოების აღმასკომები, ხოლო ქ. თბილისში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები - ჰქმნიან მიმღებ კომისიებს შემდეგი შემადგენლობით: სახლის მმართველი, საბინაო სამმართველოს უფროსი ან მთავარი ინჟინერი, სათანადო საბჭოების კომუნალური განყოფილების გამგე და მობინადრეთა 2—3 წარმომადგენელი.

11. კაპიტალური რემონტის ჩატარებისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით, ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს დასტოვონ საბინაო სამმართველოებთან ტექნიკური ჯგუფები, რომელთა შესანახი ხარჯები გაღებულ იქნას კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ძირითადი ხარჯების ღირებულების იმ ერთპროცენტიანი ანარიცხის ხარჯზე, რაც განკუთვნილია ტექნიკური ზედამხედველობისათვის, ხოლო ქ. თბილისში — აღნიშნული სახსრების ხარჯზე შეინარჩუნონ ტექნიკური ჯგუფები როგორც რაიონულ საბინაო სამმართველოებში, ისე საქალაქო საბინაო სამმართველოშიც, ერთიდან ხუთ კაცამდე და მიამაგრონ ისინი სახლმმართველობათა განსაზღვრულ რაოდენობას, ამასთან დააკისრონ ამ ჯგუფებს სახლის მმართველთან ერთად სრული პასუხისმგებლობა სახლების ტექნიკური მდგომარეობისათვის, აგრეთვე კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ხარისხოვნად გატარებისათვის.

12. ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს იმისათვის, რომ უზრნოველყოფილ იქნას საარემონტო სამუშაოები ადგილობრივი სამშენებლო მასალით, დეცდამზადების მასალით, მათ შორის ხე-ტყითაც, აგრეთვე იმისათვის, რომ რეალიზებულ იქნას საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი ფონდირებული სამშენებლო მასალები, მოაწყოს თბილისის საქალაქო საბინაო სამმართველოსთან მომარაგების სამეურნეო ანგარიშის კანტორა და გადასცეს მას ლიკვიდირებული საბინაო მომარაგების მთელი სასაწყობო მეურნეობა და სავაჭრო საბითუმო-საცალო ქსელი, რაც თბილმომარაგებას გადაეცა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 16 ივნისის № 1278 დადგენილების საფუძველზე.

საბინაო სამმართველოსთან სამეურნეო ანგარიშის კანტორის მოწყობა გატარდეს თბილმომარაგების შტატისა და ხელფასის ფონდის სათანადოთ შემცირების ხარჯზე.

13. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებმა განიხილონ საბინაო მეურნეობის წლიური ანგარიშები და საჭირო შემთხვევაში მისცენ მათ საბრუნავი და ძირითადი სახსრები 10% ფარგლებში არასაცხოვრებელი სადგომებიდან მიღებული 95% ანარიცხის თანხებიდან, 1940 წლის გამოუყენებელი სახსრებიდან.

14. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს გაითვალისწინონ წლიური და კვარტალური გეგმებით საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტის საჭიროებისათვის სათანადო რაოდენობის სამშენებლო მასალის გაცემა დეცდამზადებიდან.

15. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარს ამხ. დონაძეს ერთი დეკადის ვადაში გამოჰყოს ქალაქ თბილისში ერთი სპეციალური მაღაზია, რომელიც სამშენებლო მასალებს მიჰყიდის სახლმმართველობებს წვრილი საბითუმო ვაჭრობის წესით, და რესპუბლიკაში ფონდების განაწილების დროს უზრუნველჰყოს იგი ყოველთვიურად საჭირო ლიმიტით.

16. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ერთი თვის ვადაში გადასინჯონ საქალაქო და რაიონულ საბინაო სამმართველოთა, აგრეთვე სახლმმართველობათა შემადგენლობა და განამტკიცონ ისინი შემოწმებული და უნარიანი მუშაკებით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. იანვრის 30. № 132.
თბილისი.

---

36. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატის სანოტარო კანტორების ქსელის შესახებ.

ვინაიდან მნიშვნელოვნად შემცირდა სანოტარო კანტორების მუშაობის მოცულობა იმის გამო, რომ სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის 1940 წლის 30 ივლისის № 89 ბრძანების თანახმად სანოტარო ორგანოებს აეკრძალოთ ხელმოწერის სინამდვილის შემოწმება დაწესებულებათა მიერ საკოლმეურნეო ბაზრებზე პროდუქტების შეძენის ანგარიშებსა და ხელწერილებზე, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ლიკვიდირებულ იქნას 1941 წლის 1 თებერვლიდან სანოტარო კანტორები ბაშკიჩეთის, ბორჩალოს, გურჯაანის, კასპის, ლანჩხუთის, საგარეჯოს, ზემო-სვანეთის, ქვემოსვანეთის, თიანეთის, ჩხარის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს და ჯავის რაიონებში.

2. დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში, აფხაზეთის და აჭარის ასსრ გამოკლებით, სარაიონთაშორისო და რაიონული სანოტარო კანტორების ქსელი თანახმად დანართისა.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს ამ დადგენილების შესაბამისად გადასინჯონ სანოტარო კანტორების ქსელი მათი მნიშვნელოვანი შემცირების მხრივ.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ლიკვიდირებული სანოტარო კანტორების საშტატო ერთეულების და სხვა ხარჯების შემცირების შედეგად მიღებული ეკონომიის მთელი თანხა დასტოვოს საბიუჯეტო ანგარიშზე, როგორც შტატების შემცირებისაგან მიღებული ეკონომია.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. იანვრის 31. № 125.
თბილისი.

დანართი

საქართველოს სსრ სანოტარო ქსელის დისლოკაცია 1941 წლისათვის

(აფხაზეთისა და აჭარის ასსრ გამოკლებით)

სანოტარო კანტორების დასახელება	შტატი	ხელფასის თვიური ფონდი	მომსახურების რაიონი
1. თბილისის საქალაქო სანოტარო კანტორა .	7	2.870	ქ. თბილისი
2. თბილისის მე-2 საქალაქო სანოტარო კანტორა	4	1.000	ქ. თბილისი, მცხეთა თბილისის გარეუბანი
3. ქუთაისის საქალაქო სანოტარო კანტორა .	6	1.490	ქ. ქუთაისი, წყალტუბო
4. ფოთის „ „ „ .	2	625	ქ. ფ ო თ ი
5. ცხაკაიას სანოტარო კანტორა	2	625	ქ. ცხაკაია
6. სამტრედიის სანოტარო კანტორა . . .	2	625	სამტრედია, ვანი, ჩოხატაური
7. ჭიათურის „ „ . . .	2	625	ჭიათურა, საჩხერე
8. ზესტაფონის „ „	1	425	ზესტაფონი, ჩხარი, ორჯონიკიძე
9. მახარაძის სანოტარო კანტორა	1	425	მახარაძე, ლანჩხუთის ნაწილი და ჩოხატაური
10. გორის სანოტარო კანტორა	1	425	გორი, ქარელი, კასპის რაიონის ნაწილი
11. თელავის „	1	425	თელავის, ყვარლის, თიანეთისა და გურჯაანის რაიონების ნაწილი
12. ახალქალაქის „	2	625	ახალქალაქი, ბოგდანოვკა
13. ახალციხის „	2	625	ახალციხე, ასპინძა, ადიგენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანოტარო კანტორების დასახელება	შტატი	ხელფასის თვიური ფონდი	მომსახურების რაიონი
14. სტალინირის სანოტარო კანტორა	3	940	სამხრეთ-ოსეთის მთელი ავტონომიური ოლქი
15. აბაშის „	1	340	აბაშა, გეგეჭკორი
16. ხაშურის „	1	425	ხაშური, ქარელის რაიონის ნაწილი
17. ზუგდიდის „	1	425	ზუგდიდი, ჩხოროწყუ, ხობი
18. ტყიბულის „	1	425	ტყიბული
19. წულუკიძის „	1	340	წულუკიძე
20. ო ნ ი ს „	1	340	ონი, ამბროლაური
21. ლუქსემბურგის „ .	1	340	ლუქსემბურგი, ბაშკიჩეთი, ბორჩალო
22. მანგლისის „ „ . . .	1	425	მანგლისი
23. დუშეთის „ „ . . .	1	340	დუშეთი, ყაზბეგი, თიანეთის რაიონის ნაწილი
24. ბორჯომის „ „ . . .	1	425	ბორჯომი
25. სიღნაღის „ „ . .	1	425	სიღნაღი, საგარეჯო, გურჯაანი
26. ცაგერის „ „ . .	1	425	ცაგერი, ქვემო სვანეთი
27. მაიაკოვსკის „ „ . .	1	425	მაიაკოვსკი
ს უ ლ	49	16.850	

37. საქართველოს სსრ ჯანსახკომის სამედიცინო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების ქსელის შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 31 ოქტომბრის სამედიცინო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების ქსელის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 29, მუხ. 709) გამოცემული დადგენილების შესაბამისად და საქართველოს სსრ ჯანსახკომის სამედიცინო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუთა ქსელის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სამედიცინო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტთა ქსელი, თანახმად დანართისა.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს:

ა) გააერთიანოს ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტი კურორტოლოგიის ინსტიტუტთან და უწოდოს მას კურორტოლოგიისა და ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტი საწოლების ფონდის შენარჩუნებით;

ბ) აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი გადააკეთოს სამალარიო სადგურად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით განთავისუფლებული სამედიცინო მუშაკები გამოიყენონ თავიანთი სპეციალობის მიხედვით სხვა სამკურნალო დაწესებულებებში.

3. აეკრძალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს ახალი სამედიცინო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების მოწყობა ისე, თუ ყოველ ცალკე შემთხვევაში არ იქნება მიღებული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. იანვრის 30. № 142.
თბილისი.

დანართი

ს ი ა

იმ სამედიცინო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებისა, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან საქართველოს სსრ ჯანსახკომს

1. ეპიდემიოლოგიის მიკრობიოლოგიისა და ბაქტერიოფაგის ინსტიტუტი . . . . . ქ. თბილისი
2. ტუბერკულოზის ინსტიტუტი . . . . . აბასთუმანი
3. კანისა და ვენერიულ სნეულებათა ინსტიტუტი . . . . . თბილისი
4. ქიმიკურ-ფარმაცევტიული ინსტიტუტი . . . . . თბილისი
5. მალარიის და სამედიცინო პარაზიტოლოგიის ინსტიტუტი . „
6. სისხლის გადასხმის ინსტიტუტი . . . . . „
7. ფიზიკური მეთოდით მკურნალობისა და კურორტოლოგიის ინსტიტუტი . . . . . „
8. დედათა და ბავშვთა დაცვის ინსტიტუტი . . . . . „
9. ფსიქიატრიის ინსტიტუტი . . . . . „
10. შრომის ჰიგიენისა და პროფ. დაავადებათა ინსტიტუტი . „
11. კომუნალური ჰიგიენის ინსტიტუტი . . . . . „

---

38. სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავსნაბის“ საქართველოს კანტორის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატისათვის გადაცემის შესახებ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 7 დეკემბრის № 200—1025 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს მიიღოს თავის გამგებლობაში სსრ კავშირის „გლავპიშჩესნაბის“ საქართველოს კანტორა.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავსნაბის“ საქართველოს კანტორის ბაზაზე მოაწყოს საქკვებმომარაგება, სრულ სამეურნეო ანგარიშზე საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის საწარმოთა მომარაგების უზრუნველსაყოფად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. **ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. **რუხაძე.**

1941 წ. იანვრის 30. № 154.
თბილისი.

---

39. მ. ი. ლერმონტოვის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით იუბილეს ჩამტარებელი კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირთან და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალთან მ. ი. ლერმონტოვის გარდაცვალების ასი წლისთავის ჩასატარებელი საიუბილეო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ი. აბაშიძე (თავმჯდომარე)
2. ს. ჯანაშია (თავმჯდ. მოადგ.)
3. გ. ლეონიძე (პ/მ. მდივანი)
4. ი. თავაძე (კომიტეტის წევრი)
5. გ. კიკნაძე „
6. ვ. ეგნატაშვილი „
7. ვ. გოგუა „
8. შ. დადიანი „
9. დ. ყიფშიძე „
10. ა. მირცხულავა „
11. ვ. გრიგორიანი „
12. ვ. ხატიაშვილი „
13. ფ. დუბოვსკი (კომიტეტის წევრი)
14. ლ. ქიაჩელი „
15. მ. ჭიაურელი „
16. გ. ახვლედიანი „
17. ა. ხორავა „
18. ს. ჩიქოვანი „
19. ა. მაშაშვილი „
20. ნ. ნაკაშიძე „
21. კ. შახაზიზოვი „
22. დ. გულია „
23. კ. ჭიჭინაძე „

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. წინადადება მიეცეს კომიტეტს ორი კვირის ვადაში წარმოადგინოს იუბილეს ჩატარების ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. თებერვლის 1. № 160.
თბილისი.

---

40. საქართველოს სარეწაო კოოპერაციის მიერ დამზადებული „გრეცის“ ტიპის ნავთქურების გასაცემი ფასის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1941 წლის № 519 განკარგულების შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის მიერ დამზადებული „გრეცის“ ტიპის ნავთქურის გასაცემი ფასი 49 მან. და 80 კაპ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1941 წ. თებერვლის 3. № 161.
თბილისი.

41-234
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოქმცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. 28.

შეკვეთა № 532. ტირაჟი 1600.